ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანოს – მრჩეველთა საბჭო

სხდომის დღის წესრიგი - # 1 (15 მარტი - 2021 წ / 16 : 00 სთ)

საკითხი 1. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, ქოლგიანი დელფინის ავტორის, ავთანდილ ლომაძის მემორიალური დაფის (ქ. ბათუმში ზურაბ გორგილაძის ქ. #21, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა (1947-2020 წწ.) განთავსების თაობაზე. საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი - წერილობითი მომართვა N 01/ 10.03.2021)

საკითხი 2. ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის რამაზ (ანდრია) სურმანიძის მემორიალური დაფის და ბარელიეფის (ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ. 16 / მემედ აბაშიძის ქ. 46) განთავსების თაობაზე და ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის, მისი სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი - წერილობითი მომართვა N 02/ 20.01.2020)

საკითხი 3. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩისთვის, ქ. ბათუმის საპატიო მოქალაქის, საზოგადო მოღვაწის ფერიდე აცამბას სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი - წერილობითი მომართვა N 03 /11.03.2021)

საკითხი 4. აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის დარბაზისთვის ტარიელ ფუტკარაძისა და სამკითხველო დარბაზისთვის რამაზ სურმანიძის სახელის მინიჭების საკითხის განხილვა და მოსაზრების მერისთვის წარდგენა.

(საფუძველი წერილობითი მომართვა N 04/ 12.03.2021)

სხდომაზე განიხილება, საბჭოს წევრების მიერ დასმული და ჩვენი ქალაქისთვის სხვა აქტუალური საკითხები. რეგლამენტი დამტკიცდება სხდომის დაწყებისას.

(მისამართი : ქ.ბათუმი ლუკა ასათიანის ქ. 25 - ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია)